

# ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი განათლების დეპარტამენტის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება შემუშავებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს დიპლომისშემდგომი განათლების დეპარტამენტის (დეპარტამენტი) სტატუსსა და ფუნქციებს.
2. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის მონაწილეობა დიპლომისშემდგომ განათლების წარმართვის პროცესში წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
3. დეპარტამენტი არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი განათლების ფუნქციონირებას უნივერსიტეტში.

## მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი

1. დეპარტამენტი ახორციელებს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურა) საქმიანობას და მართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად.
2. რეზიდენტურის კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო მოწმობა.
3. სარეზიდენტო პროგრამის შესრულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან დიპლომისშემდგომი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი და ცალკეული მოდულების ხელმძღვანელები.
4. დეპარტამენტის ფუნქციებია:
  - სარეზიდენტო პროგრამის და მოდულის ხელმძღვანელთა საქმიანობის კოორდინირება პროგრამების მიმდინარეობის ხარისხზე კონტროლის მექანიზმების განხორციელება;
  - სამედიცინო დაწესებულების და მოდულის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის დამტკიცება;
  - რეზიდენტთა პროფესიული მზადების მიმდინარე და საბოლოო ანგარიშების შეფასება;
  - შუამდგომლობის აღძვრა სარეზიდენტო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით სახელმწიფო მოწმობის გაცემის შესახებ;
  - რეზიდენტურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საქმიანობას.
5. დეპარტამენტის საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება დეპარტამენტის კომისიის მიერ. კომისია შედგება დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელისა და ცალკეული მოდულების ხელმძღვანელებისაგან. დეპარტამენტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოს ასევე იმ პირთა უშუალო მონაწილეობა, რომელთა უფლებრივ მდგომარეობაზეც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ცალკეულმა გადაწყვეტილებამ. კომისიის სხდომების მიმდინარეობას ხელმძღვანელობს

დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღების პრინციპი.

- სარეზიდენტო პროგრამის საფასურის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დეპარტამენტის კომისიის მიერ და წარდგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

### **მუხლი 3. სარეზიდენტო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიური თანამდებობა (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში არანაკლებ 5-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.
- მოდულზე პასუხისმგებელი პირი: სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება, არანაკლებ 2-წლიანი პედაგოგიური გამოცდილება, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება, დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის/მოდულის შესაბამის საექიმო სპეციალობაში, სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება (საექიმო სპეციალობაში – „საოჯახო მედიცინა“ მომიჯნავე სპეციალობებისათვის დადგენილი პროგრამის შემთხვევაში, „საოჯახო მედიცინაში“/პირველად ჯანდაცვაში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება) და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამის გავლა. მოდულის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში.
- თეორიულ მოდულზე პასუხისმგებელი პირი: შესაბამისი უმაღლესი განათლება, 2 წელი პედაგოგიური გამოცდილება, ხოლო ნარკოლოგიასა და სტომატოლოგიაში, დამატებით, - შესაბამის საექიმო სპეციალობაში სახელმწიფო სერტიფიკატი.

### **მუხლი 4. სპეციალობის მამიებელი**

- რეზიდენტობის კანდიდატს დიპლომისშემდგომ განათლებაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მამიებლის დამადასტურებელი მოწმობის ან/და შესაბამისი ცნობის წარდგენის შემთხვევაში, რომლის გაცემის მომენტიდან არ გასულა 3 წელზე მეტი.
- სპეციალობის მამიებლის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.
- სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
  - განცხადება სარეზიდენტო პროგრამაზე დაშვების შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით);
  - საექიმო სპეციალობის მამიებლის მოწმობა;
  - უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის ასლი);
  - ავტობიოგრაფია (CV);
  - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

4. რეზიდენტურაში ჩარიცხვა განხორციელდება აკრედიტაციის შედეგად დადგენილი რაოდენობრივი ლიმიტის (ქვოტის) ფარგლებში.
5. დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას იმ პირთა რეზიდენტურაში ჩარიცხვის შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის ჩარიცხვის წინაპირობებს.
6. სპეციალობის მაძიებლის სემესტრული რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად: ადმინისტრაციული – ბანკში სწავლის საფასურის გადახდით და აკადემიური (საგნობრივი) საშუალებით.
7. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
  - ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე; გ) ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივი დროით იწვევს სპეციალობის მაძიებლის სასწავლო პროცესისაგან ჩამოშორებას;
  - დ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;
  - ე) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.
8. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სემესტრის დაწყებამდე ადმინისტრაციული რეგისტრაციის განახლებით. სტატუსის აღდგენა დაუშვებელია თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
9. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) შესაბამისი პროგრამის დასრულება;
  - ბ) სხვა დაწესებულებაში გადასვლა;
  - გ) პირადი განცხადება;
  - დ) სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო ქცევა.
10. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში. სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან არაუმეტეს 4 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.

## მუხლი 5. შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტში სპეციალობის მაძიებლისათვის მოქმედი შეფასების სისტემა მოიცავს მაძიებელთა ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებას და იძლევა ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების შესაძლებლობას.
2. სპეციალობის მაძიებელი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს.
3. სპეციალობის მაძიებელი მოდულის დასრულების შემდეგ აბარებს ეტაპობრივ გამოცდას, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ შემაჯამებელ გამოცდას პროგრამისა და მოდულის ხელმძღვანელთან.
4. გამოცდის შეფასება ხდება შესაბამისი კომპონენტისთვის წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება მაქსიმალური შეფასების (100 ქულა) 51%-ის მოპოვების შემთხვევაში. სპეციალობის მაძიებელი, რომელიც მიიღებს შეფასებას 41%-დან 50%-მდე მიეცემა გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლება.

- სპეციალობის მაძიებელი, რომელიც არ ეთანხმება ეტაპობრივ ან შემაჯამებელ გამოცდაზე მიღებულ უარყოფით შეფასებას, უფლებამოსილია 2 სამუშაო დღის განმავლობაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს.
- დეპარტამენტის ხელმძღვანელი საჩივარს განიხილავს კომისიასთან ერთად და გადაწყვეტილებას იღებს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
- პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ და შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელს ეძლევა დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა. მოწმობას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო.

#### მუხლი 6. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

- სწავლების ხარისხის განვითარების ციკლის მიზანია პროგრამის განხორციელების პროცესში აქტივობების პერმანენტული გაუმჯობესება, ასევე ნაკლოვანებების თავიდან აცილება შემდგომი დაგვარად წინმსწრები ღონისძიებების გატარებით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში – დროული რეაგირებით.
- სასწავლო პროცესის შემდგომი დახვეწისათვის გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამის შეფასების კითხვარი. შედეგებს ანალიზებს მოდული განმახორციელებელი პერსონალი, განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რეკომენდაციით მიმართავს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

#### მუხლი 7. დამატებითი პირობები და ვადები

- სპეციალობის მაძიებელმა სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელი თითოეული მოდული უნდა გაიაროს არანაკლებ ამ მოდულის ხანგრძლივობით განსაზღვრულ ვადაში; დაუშვებელია 2 და მეტი მოდულის ერთდროულად გავლა.
- სპეციალობის მაძიებლის მიერ შესაბამისი სპეციალობის სარეზიდენტო პროგრამის გავლის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს შესაბამისი სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მას 2-ჯერ. ვადის ათვლა იწყება პირველი მოდულის დაწყების დღიდან.
- რეზიდენტურის პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებით სარეზიდენტო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში სპეციალობის მაძიებელი ვეღარ ასწრებს სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების გავლას ან რომელიმე მოდულში/მოდულებში მიიღებს უარყოფით შეფასებას.

#### მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების შეტანა

- დებულებაში ცვლილებებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო დეპარტამენტის კომისიის ან საბჭოს ერთ-ერთი წევრის წარდგინებით.
- დაუშვებელია ცვლილებამ გააუარესოს პროგრამაში ჩართულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.